ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ49. 4924220001**
თარიღი:**07/08/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის წინადადება საკრებულოს სხდომაზე რიგი საკითხების განხილვისა და რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე–3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე–20 მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის 8 აგვისტოს, 11:00 საათზე მოწვეული იქნეს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1) ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

/მომხ. არჩილ ღიბრაძე, თანამომხს. ფ. გაგოშიძე/

2) ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

/ მომხ. არჩილ ღიბრაძე, თანამომხს. ფ. გაგოშიძე/

3) „ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08. 34.014. 01. 507) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" „დღის საქმიანობის ცენტრის" მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით,

სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომზ. რევაზ დიდავა, თანამომზს. მ.კანკაძე/

4) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:
ა) ბრძანების გამოქვეყნება;
ბ) საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

გ) საკრებულოს ბიუროს წევრთა რეგისტრაცია 10:30 საათიდან.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი